



საქართველოს მთავრობის განკარგულება

№38 2015 წლის 20 იანვარი ქ. თბილისი

კომპანია Microsoft-ის ოფიციალური წარმომადგენლისგან კომპანია
Microsoft-ის ლიცენზიების (Genuine OS Licensing და Enterprise Licensing)
შესყიდვის განხორციელების თაობაზე

1. ცნობად იქნეს მიღებული, რომ:

ა) საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 დეკემბრის №2622 განკარგულებით მოწონებულ იქნა შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ თანამედროვე ტექნოლოგიებში ლიცენზირებული საავტორო პროგრამების შეძენის პროცესის მაკოორდინირებელი კომისიის 2014 წლის 19 დეკემბრის №2 სხდომის ოქმი, რომლის თანახმადაც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებულმა სსიპ - საფინანსო-ანალიტიკურმა სამსახურმა უნდა უზრუნველყოს კომპანია Microsoft-ის ლიცენზიების (Genuine OS Licensing და Enterprise Licensing) შესყიდვის მიზნით, კომპანია Microsoft-თან შემდეგი ხელშეკრულებების გაფორმება: „Enterprise Enrollment (Indirect) - X20-10471“, „Discount Transparency Disclosure Form - X20-12769“, „Product Selection Form – Specialized profile – CTM“, „Effective Date Amendment ID M23 – M23“;

ბ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კომპანია Microsoft-ის ლიცენზიების (Genuine OS Licensing და Enterprise Licensing) საერთო ღირებულება (დღგ-ის გათვალისწინებით) შეადგენს 19 287 100 (ცხრამეტი მილიონ ორას ოთხმოცდაშვიდი ათას ასი) აშშ დოლარის ეკვივალენტ ლარს და ანგარიშსწორება უნდა განხორციელდეს 3 (სამ) ეტაპად: პირ-

ველი ეტაპი - 7 451 700 (შვიდი მილიონ ოთხას ორმოცდათერთმეტი ათას შვიდასი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი; მეორე ეტაპი - 5 917 700 (ხუთი მილიონ ცხრაასჩვიდმეტი ათას შვიდასი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი; მესამე ეტაპი - 5 917 700 (ხუთი მილიონ ცხრაასჩვიდმეტი ათას შვიდასი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი.

2. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, სსიპ - საფინანსო-ანალიტიკურმა სამსახურმა კომპანია Microsoft-ის ოფიციალურ წარმომადგენელთან კომპანია Microsoft-ის ლიცენზიების (Genuine OS Licensing და Enterprise Licensing) სახელმწიფო შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

3. ამ განკარგულების პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული, ლიცენზიების შესყიდვისათვის პირველ ეტაპზე გადასახდელი თანხის ანაზღაურების მიზნით საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ - საფინანსო-ანალიტიკურ სამსახურს გამოუყოს 7 451 700 (შვიდი მილიონ ოთხას ორმოცდათერთმეტი ათას შვიდასი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი.

4. სსიპ - საფინანსო-ანალიტიკურმა სამსახურმა ზემოაღნიშნული ხელშეკრულებების გაფორმების შემდგომ უზრუნველყოს საბიუჯეტო ორგანიზაციებთან Microsoft-ის ლიცენზიების მიწოდების მიზნით ხელშეკრულებების გაფორმება და შესაბამისი ლიცენზიების მიწოდება.

პრემიერ-მინისტრი

ნ.



ირაკლი ღარიბაშვილი